მიზანსწრაფულობა, აკადემიური მოტივაცია და აკადემიური მოსწრება სტუდენტებში

ნინო ტაბატაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

04.06.2025

აბსტრაქტი

განათლებას ადამიანის ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია, ვინაიდან ის ახალი ცოდნის შეძენის გზით, ხელს უწყობს პიროვნულ ზრდასა და მომავლისთვის საჭირო უნარების განვითარებას. განათლების საშუალებით, ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ საკუთარი ინტერესები, განავითარონ შესაძლებლობები, ისწავლონ პრობლემების გადაჭრა და კრიტიკულად აზროვნება. ის ასევე დიდ როლს თამაშობს ადამიანების პირადი და პროფესიული მიზნების მიღწევის გზაზე. ბევრი სტუდენტისთვის, აკადემიური მოსწრება ამ გზის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან აკადემიური წარმატება ხშირად სწორედ აკადემიური მოსწრების პრიზმით არის დანახული. მას განსაზღვრავს არამხოლოდ სწავლაზე დახარჯული დრო, რაც ცალსახად მნიშვნელოვანია, არამედ ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიც არის მოტივაცია და აკადემიურ გამოწვევებთან გამკლავების უნარი.

წინამდებარე ნაშრომში ვიკვლიე, თუ როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს მიზანსწრაფულობა, აკადემიური მოტივაციის სამი განზომილება (შინაგანი მოტივაცია, გარეგანი მოტივაცია და ამოტივაცია) და აკადემიური მოსწრება. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა. შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები, რომლებიც იყვნენ მიზანსწრაფულები და შინაგანად და გარეგანად მოტივირებულნი, გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრებით. საპირისპიროდ, სტუდენტებს, რომლებიც თავს არამოტივირებულად (ამოტივირებულად) გრძნობდნენ ჰქონდათ დაბალი აკადემიური მოსწრება.

შედეგების მიხედვით, მხოლოდ მიზანსწრაფულობამ და შინაგანმა მოტივაციამ იწინასწარმეტყველეს აკადემიური მოსწრება, გარეგანი მოტივაცია კი არ აღმოჩნდა აკადემიური მოსწრების მნიშვნელოვანი პრედიქტორი. მიზანსწრაფულობის განზომილებების (შეუპოვრობა და ინტერესის თანმიმდევრულობა) აკადემიურ

მოსწრებასთან მიმართების დადგენისას, შეუპოვრობამ აჩვენა უფრო ძლიერი პროგნოზირებადი როლი აკადემიურ მოსწრებაზე, ვიდრე ინტერესის თანმიმდევრულობამ. ამოტივაცია ასევე განისაზღვრა, როგორც აკადემიური მოსწრების უარყოფითი პრედიქტორი. სქესი ყველა მოდელში აკადემიური მოსწრების პროგნოზირების ფაქტორად გამოვლინდა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს სქესთან დაკავშირებული სოციალური და კულტურული მოლოდინების გავლენაზე და არა მხოლოდ ინდივიდუალურ განსხვავებებზე.

ეს შედეგები მიუთითებს, რომ მიზანსწრაფულობა, განსაკუთრებით კი მისი განზომილება - შეუპოვრობა და სწავლის გულწრფელი ინტერესი - შინაგანი მოტივაცია ხელს უწყობს აკადემიურ წარმატებას, მაშინ როდესაც მოტივაციის ნაკლებობამ შეიძლება გაართულოს სტუდენტებისთვის წარმატების მიღწევა.

ძირითადი საძიებო სიტყვები : მიზანსწრაფულობა, შეუპოვრობა, ინტერესის თანმიმდევრულობა, აკადემიური მოტივაცია, შინაგანი მოტივაცია, გარეგანი მოტივაცია, ამოტივაცია, აკადემიური მოსწრება.

Abstract

Education holds a central place in a person's life, as it promotes personal growth and the development of essential skills for the future through the acquisition of new knowledge. Through education, individuals can discover their interests, develop their abilities, learn to solve problems, and think critically. It also plays a significant role in achieving both personal and professional goals. For many students, academic achievement is an important part of this path, as academic success is often viewed through the lens of academic performance. This performance is influenced not only by the time invested in studying—which is undeniably important—but also by personal qualities such as motivation and the ability to cope with academic challenges.

This study explores the relationships between grit, the three dimensions of academic motivation (intrinsic motivation, extrinsic motivation, and amotivation), and academic achievement. The study involved undergraduate students from various universities in Georgia. The results showed that students with higher levels of grit, intrinsic motivation, and extrinsic motivation tended to achieve more. In contrast, students who felt unmotivated (amotivated) generally had lower academic achievement. When we looked at what actually predicts academic achievement, grit and intrinsic motivation were both strong predictors, while extrinsic motivation was not. Looking more closely at grit, perseverance of effort (PE) subscale predicted academic achievement strongly than consistency of interest (CI). Amotivation was also found to be a negative predictor of achievement. Sex was a consistent predictor of academic achievement in all models, which may indicate the influence of gender-related social and cultural expectations rather than individual differences alone.

These results suggest that being consistent in effort and genuinely interested in learning can help students succeed, while a lack of motivation may reduce their chances of doing well.

Key words: Grit, Grit-PE, Grit-CI, academic motivation, intrinsic motivation, extrinsic motivation, amotivation, academic achievement.

მადლობა

მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს: მაია წერეთელს, მისი ფასდაუდებელი დახმარებისა და მხარდაჭერისთვის მთელი კვლევის განმავლობაში. ის ყოველთვის მზად იყო რჩევებისა და რეკომენდაციების მოსაცემად, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნული ნაშრომის მომზადება. მისმა პროფესიულმა და ადამიანურმა მხარდაჭერამ არამხოლოდ ხელი შეუწყო ამ კვლევის დასრულებას, არამედ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს აკადემიურ ზრდასა დაგანვითარებაში.

ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს, მათი წვლილი და თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი იყო ამ კვლევის წარმატებისთვის.